

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ

იერუსალიმში ქართული სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის (2001 წლის 17 დეკემბერი – 2002 წლის 1 აპრილი) პერიოდში ვიკვლევდი იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერების კოლექციის ცალკეულ ნუსხებს; აგრეთვე იერუსალიმის და, ზოგადად, წმინდა მიწის ქართული სამონასტრო კოლონიის ისტორიის ცალკეულ საკითხებს. სულ ჩემი სამუშაო მასალა 3 ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

I იერუსალიმში დაცული ქართული და ბერძნული ხელნაწერები

1. ქართული ხელნაწერები

იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას სამეცნიერო კვლევის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იერუსალიმის ქართული ხელნაწერების პირველი სამეცნიერო აღწერილობა შედგენილი აქვს ა. ცაგარელს, რომელიც 1883 წელს იმყოფებოდა იერუსალიმში. შემდგომ იერუსალიმის ქართული ხელნაწერების აღწერილობის შედგენაზე იმუშავეს აგრეთვე ნ. მარმა და ამერიკელმა ქართველოლოგმა რ. ბლეიკმა.

1950-იანი წლებიდან მოყოლებული, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ქართული ხელნაწერების უდიდესი ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მეცნიერებისათვისაც (მიკროფილმების სახით). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა ამ კოლექციის სრული სამეცნიერო აღწერილობის შესადგენად. ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის შემადგენლობაში მომუშავე ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ამ კოლექციის ხელნაწერთა სრული სამეცნიერო აღწერილობის საბოლოო ვარიანტის შემუშავება წარმოადგენდა (აქვე


დავუმატებთ, რომ დღეისათვის იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ქართულ ხელნაწერთა კოლექცია 161 ერთეულისაგან შედგება).

ა) ექსპედიციაში მუშაობის დროს ვიკვლევდი იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ცალკეულ ნუსხებს. ვიმუშავე, კერძოდ, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის შემდეგ ხელნაწერებზე: №№ 4, 6, 7, 9, 10, 11, 12, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 30, 34, 35, 36, 44, 49, 50, 51, 156 (რ. ბლეიკის კატალოგით) – სულ 23 ერთეულზე; შევამოწმე აღნიშნული ხელნაწერების ტექნიკური მონაცემები (მასალა, ზომები, რვეულებრივი აღრიცხვა და სხვ.), აგრეთვე ამ ხელნაწერებში წარმოდგენილი ანდერძ-მინაწერთა ტექსტები მათი საბოლოოდ დაზუსტების მიზნით.

ბ) ახლადმიკვლეული ქართული ხელნაწერი იერუსალიმის წმ. საფლავის ეკლესიის საგანძურადან.

წმინდა მიწაზე ქართველ მეცნიერთა ექსპედიციაში მუშაობის დროს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იერუსალიმის წმ. საფლავის საგანძურში დაცული იყო ქართული ოთხთავი, რომლის შესახებაც სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდე არაფერი იყო ცნობილი. ექსპედიციის ხელმძღვანელთან, პროფ. თ. მგალობლიშვილთან ერთად ვიმუშავეთ ამ ხელნაწერის აღწერილობის შედგენაზე.

ხელნაწერი შექმნილი უნდა იყოს XV-XVI სს-ში, საფიქრებელია, საქართველოში; მასში წარმოდგენილია ოთხთავის გიორგი მთაწმიდელისეული რედაქცია. ხელნაწერის გადამწერია ვინმე დიმიტრი, მომგებელი კი ბაგრატი. ოთხთავი მდიდრულად არის დასურათებული – მას 48 მინიატურა ახლავს, შესრულებული ორი სხვადასხვა მხატვრის მიერ. ხელნაწერის ბოლოს დართული ანდერძის მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული ნუსხა მაცხოვრის საფლავისათვის შეუწირავს ქართველ დიდებულს, გიორგი აბაშიძეს (XVII-XVIII სს). (ილ. 1, 2).



1. „ოქროს ოთხთავი“. გიორგი აბაშიძის ანდერძი. (ხელნაწერის 414 r). (ფოტო დ. ცხადაძის)

2. ბერძნული ხელნაწერები

წინასწარი საკვლევი სამუშაო ჩავატარეთ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ორ ბერძნულ ხელნაწერზე, რომლებიც საინტერესო გვეჩვენა წმინდა მიწის ქართული სამონასტრო კოლონიის ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად (გადაღებული გვაქვს ამ ხელნაწერთა მიკროფილმებიც).

ესენია:

ა) წმ. საფლავის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის №523 ხელნაწერი. ეს ხელნაწერი, ფაქტობრივად, წარმოადგენს დავთარს, სადაც შეკვნიშნულია ქართული მონასტრის (წმ. ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბასილის, წმ. თევდორეს, წმ. გიორგის და საიდნაიას) ხარჯთაღრიცხვა.



2. „ოქროს ოთხთავი“. დიმიტრის ანდერძი. (ხელნაწერის 412v). (ფოტო დ. ცხადაძის)

ვა. აღრიცხვა ნაწარმოებია 1665 წლის 1 ოქტომბრიდან ვიდრე 1696 წლის 25 მარტამდე;

ბ) იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის № 19 ხელნაწერი, რომელიც თარიღდება 1732 წლით (აქვე, ამავე ნუსხაში არის მოხვედრილი ქართული სულთა მატინანეს ფრაგმენტიც). ხელნაწერის დასაწყისში მითითებულია, რომ ეს არის წიგნი იბერთა წმ. ჯვრის მონასტრიდან, სადაც ჩაწერილია სახელები ცოცხალთა და გარდაცვლილთა და რომ ჩაწერა დაწყებულია იერუსალიმის პატრიარქის, ნექტარიოსის დროს (1660-1669 წწ), როდესაც ამ მონასტრის წინამძღვარი იყო იოსებ იბერიელი. ხელნაწერის 30v-36r უკავია იბერთა მეფეების, მღვდელმთავრებისა და სხვათა სახელებს. აქვე, 37r-ზე დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ 1847 წელს, დანიელის იღუმენობის პერიოდში იერუსალიმში ჩასულა დედოფალი თამარ ზემო ივერიიდან, შვილიშვილი ერეკლე მეფისა;

3. ქართულ და უცხოენოვან ხელნაწერებში დაცული კოლოფონები

ცალკე ვმუშაობდი ქართულ და უცხოენოვან ხელნაწერებში დაცულ ზოგიერთ, დღემდე უცნობ ქართულ ანდერძ-მინაწერზე, რომლებიც შეიცავენ ახალ მასალას წმინდა მიწის ქართული სამონასტრო კოლონიის ისტორიის ცალკეული საკითხებისა და იქ მოღვაწე ისტორიული პირების შესახებ. ამ ანდერძ-მინაწერებზე მუშაობამ საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა იერუსალიმის ზოგიერთი ქართული მონასტრის ადგილმდებარეობა, აშენების (განახლების) თარიღი თუ აღმშენებელთა ვინაობა. მოვიყვანთ ამ კოლოფონთა მოკლე ჩამონათვალს.

ა) ქართულ ხელნაწერთა კოლექციის №65 ნუსხის პირველ გვერდის r-ზე დაცული დელტავის მონასტერში მოღვაწე ქართველი მონაზვნის, დუდა აბაზაისძე ტბელის ასულის ანდერძის (XIII ს) მიხედვით ცნობილი ხდება, რომ დელტავის (=დერტავის) დედათა მონასტერი წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელზე იყო აშენებული; ამასთან, დუდა მონაზვნის ანდერძში პირველად ვხვდებით ზუსტ მითითებას იმის შესახებ, რომ აღნიშნული მონასტერი იერუსალიმში მდებარეობდა. დუდას ანდერძიდან ირკვევა ისიც, რომ ქართველი მონაზონი ჯაყელთა რბალი ყოფილა – ანდერძში ვხვდებით საინტერესო ცნობებს ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა შესახებ.

ბ) ამავე კოლექციის №132 ნუსხაში წარმოდგენილი ორი ანდერძი საინტერესო მასალას გვაწვდის იერუსალიმის წმ. თევდორეს (ბერძნული ტრადიციით, წმ. თევდორეთა) ეკლესიამონასტრის შესახებ. ამ ორი ანდერძიდან უფრო

ადრეული ეკუთვნის ხელნაწერის გადამწერს, შავ მიქაელ ხუცესმონაზონს (XIV-XV სს.). მისი ანდერძის მიხედვით, აღნიშნული ნუსხა მიქაელს შეუწირავს წმ. თევდორეს ეკლესიისა და ტკებნარის დარისათვის: „..შევესწირენ წმიდანი ესე წიგნნი მონასტერსა ტკებნარის დარსა, ეკლესიასა წმიდისა თვესსა..“ (Jer.132, 343rv). საფიქრებელია, რომ აქ ერთი და იგივე ადგილი უნდა იგულისხმებოდეს, ანუ უნდა ვიფიქროთ, რომ ტკებნარის დარის (იგივე მონასტრის) ეკლესია აშენებული ყოფილა წმ. თევდორეს სახელზე. ის, რომ ტკებნარის მონასტერი პალესტინაში (და არა საქართველოში) მდებარე მონასტერი უნდა ყოფილიყო, ვფიქრობთ, დასტურდება ანდერძის ტექსტში დაცული არაბული სიტყვით "დარი", (=მონასტერი), რაც ე. მებრეველის მითითებით, მონაზონთა ადგილსამყოფელს ნიშნავს.

ამავე ხელნაწერის 344v-ზე ვხვდებით იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის წინამძღვრის, ბენა ჩოლოყაშვილის (იერუსალიმში ბენა იმყოფებოდა 1511-1514 წწ.) ანდერძს, საიდანაც ირკვევა, რომ ბენას განუახლებია ეს ეკლესია და, ამას გარდა, უზრუნია მონასტრის ბიბლიოთეკის შესავსებადაც – მოუძებნია ამ სავანის კუთვნილი ხელნაწერები და დაუბრუნებია ძველი მფლობელისათვის (ანუ წმ. თევდორეს ეკლესიის სამმოსათვის). ჩანს, რომ ერთ-ერთი ასეთი "მოძიებული" ხელნაწერი ყოფილა Jer. 132-ც.

6. ჩუბინაშვილის ცნობით, იერუსალიმის წმ. თევდორეს ეკლესიის ერთ-ერთი ქართული სამშენებლო წარწერა მოიხსენიებდა ბენა ჩოლოყაშვილს, მაგრამ რამდენადაც აქამდე ცნობილი არ იყო რაიმე სხვა, დამატებითი წყარო, რომელიც ბენა ჩოლოყაშვილს იერუსალიმის წმ. თევდორეს მონასტერთან დააკავშირებდა, ამ წარწერის ჩუბინაშვილისეული წაკითხვა არაზუსტად იყო მიჩნეული. ბენა ჩოლოყაშვილის ახლადმიკვლეული ანდერძი საშუალებას გვაძლევს, გარკვეული კორექტივები შევიტანოთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ თვალსაზრისში და ბენა ჩოლოყაშვილის მიერ წმ. თევდორეს ეკლესიის განახლება დადასტურებულ ფაქტად მივიჩნიოთ.

დამოწმებული ანდერძი უკვე თავისთავად არის საინტერესო იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი პალესტინაში, კერძოდ იერუსალიმში, ქართული ტოპონიმის ("ტკებნარი") არსებობის ფაქტს გვიდასტურებს.

ტკებნარი, როგორც ირკვევა, გამონაკლისს არ წარმოადგენს – "პალესტინურ" ქართულ ტოპონიმად უნდა იქნას მიჩნეული აგრეთვე *დევეთუბანიც* (იხ. ქვემოთ).

გ) *დევეთუბნის* შესახებ ცნობები დაცულია იერუსალიმის ორ ქართულ ხელნაწერში. ესენია: Jer. 62 და Jer. 65. ცნობებს დევეთუბნის შესახებ გვაწვდის ამ ხელნაწერებში დაცული ორი ანდერძი. პირველი, უფრო ადრეული ანდერძი (XIII-XIV სს.) Jer. 65-ის პირველი გვერდის v-ზე, მეორე ანდერძი კი (XIV ს.) წარმოდგენილია Jer. 62-ის 174v-ზე.

დევეთუბანი დღემდე ცნობილი იყო ერთადერთი წყაროს მიხედვით – მხედველობაში გვაქვს იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის კუთვნილი ნუსხა – Jer. 24-25), რომელშიც ვხვდებით ალაქს ვინმე *მარინა დევეთუბნელის* სახელზე (ე. მებრეველი მას XIV ს-ით ათარიღებს). მაგრამ აქამდე გაურკვეველი იყო, რას გულისხმობდა ამ ალაქში დადასტურებული ზედწოდება "დევეთუბნელი". Jer. 62-სა და Jer. 65-ში დაცული ანდერძების ტექსტები გვაფიქრებინებს, რომ სახელწოდება *დევეთუბანი* იერუსალიმში (ან მის შემოგარენში) მდებარე რომელიმე სავანეს უნდა უკავშირებოდეს.

ვიმუშავე აგრეთვე იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკის უცხოენოვან ხელნაწერებში დაცულ ქართულ ანდერძ-მინაწერებზეც, რომლებიც გამოვავლინეთ ექსპედიციის მუშაობის დროს. აქ უბრალოდ, ჩამოვთვლით ამ ხელნაწერებს მათში დაცული ქართული ანდერძების შინაარსის მოკლე მითითებით.

დ) ამ ჯგუფის წყაროებიდან ყველაზე ადრეულია ბენა ჩოლოყაშვილის ანდერძი, რომელიც დაცულია წმ. საბას მონასტრის კუთვნილ ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის № 360 ნუსხაში (ამჟამად წმ. საბას მონასტრის ხელნაწერები, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძნულ ხელნაწერთან ერთად, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში არის თავმოყრილი). ბენას ანდერძი წარმოდგენილია ხელნაწერის საცავი ფურცლის v-ზე და თარიღდება 1511 წლით. ანდერძში ხაზგასმულია ბენას მიერ გოლგოთის "დახსნის" ფაქტი.

ე) ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (XVII ს.) ანდერძი, რომელიც დაცულია წმ. საფლავის ეკლესიის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის №99 ნუსხის 105-108 ფურცლებზე. ნიკიფორეს ანდერძში მოკლედ არის მოთხრობილი აღნიშნული ხელნაწერის თავგადასავალი; ამას გარდა, ანდერძში ლაპარაკია იმ კონტაქტებზე, რომელიც ჰქონია ნიკიფორე ჩოლოყაშვილს სირიის პატრიარქთან, ევთიმისთან.

აღსანიშნავია, რომ ამავე ხელნაწერის 105v-ზე წარმოდგენილია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის

არაბულენოვანი ანდერძიც, რომელიც წარწერილია უფრო ადრეული, ნიკიფორემდელი ეპოქიდან მომდინარე ქართული ანდერძის ტექსტზე.

ე) ჯვარის მამის, მეღვთისის (XVIII ს.) ანდერძი, რომელიც დაცულია არაბული ხელნაწერების კოლექციის №13 ხელნაწერის Ir-ზე. ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ აღნიშნული არაბული ხელნაწერი წმ. ჯვრის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა.

II საბუთები

წინასწარი საკვლევი სამუშაო ჩავატარეთ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს არქივში დაცულ ქართულ და ზოგიერთ ბერძნულ საბუთებზე (გადაღებულ გვაქვს ამ საბუთების ქსეროასლებიც).

1. ქართულენოვანი დოკუმენტები:

საპატრიარქოს არქივში დაცულია სულ ორი ქართულენოვანი საბუთი. ესენია:

ა) კათალიკოს ნიკოლოზ VIII-ის (XVII ს.) ეპისტოლე იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოს II-ის (1669-1707 წწ.) მიმართ. ეპისტოლე ორენოვანია, ქართულ ტექსტს მოსდევს მისი ბერძნული თარგმანი. ნიკოლოზ კათალიკოსი ამ ეპისტოლეში აცნობებს დოსითეოსს, თუ რა ზომებს მიმართავდნენ ქართველები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ვალებიდან დასახსნელად;

ბ) მეორე ქართულენოვანი საბუთი წარმოადგენს გასპარ ტირაცო არაქელაშვილის შეწირულების წიგნს და თარიღდება 1801 წლით.

2. ბერძნული დოკუმენტები

ბერძნულენოვანი დოკუმენტებიდან ჩვენ შევარჩიეთ დოსითეოს II-ისადმი მიწერილი ორი წერილი, რომლებიც საქართველოდან არის გაგზავნილი და უშუალოდ უკავშირდება საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობების საკითხს. მათი ავტორები არიან ქართველები: თეიმურაზ და აშოთანი. ორივე წერილი თარიღდება 1678 წლით და, ფაქტობრივად, შეწირულების ნუსხებს წარმოადგენს.

III ნაქარგობა

წინასწარი საკვლევი სამუშაოები ჩავატარეთ იერუსალიმის წმ. საფლავის ეკლესიაში დაცული ქართული ნაქარგობის ნიმუშების შესასწავლად. ამჟამად ვმუშაობთ ამ ნაქარგობათა წარწერების ამოკითხვაზე და მათში მოხსენიებული ისტორიული პირების იდენტიფიკაციის საკითხზე. ეს ნიმუშებია:

1. ქართლის დედოფლის, ანახანუმის დაფარნა, შეწირული ქრისტეს საფლავს (1757 წ.);

2. იოსებ ტფილელისა და მარიამ დედოფლის ომოფორი (XVII ს.);

3. ელისე მთავარეპისკოპოსის ომოფორი ქართული, არაბული და ბერძნული წარწერებით (XVII ს.)

4. სამი ქართული ენქერი.

გარდა ამისა, დასრულებული გვაქვს მუშაობა მამუკა ბატონიშვილისა და მისი მეუღლის, დარეჯანის გარდამოსხნაზე (1743 წ.), რომელიც იერუსალიმის წმ. თეკლას ეკლესიაში არის დაცული.